აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

23 დეკემბერი 2015 წელი

დადგენილება №24(15/16)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 5 სექტემბრის №2(12/13) დადგენილებაში "ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 5 სექტემბრის №2(12/13) დადგენილების მე-9 მუხლის 9.1, 9.2 და 9.3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტის გაცემის პირობები, ოდენობა და დაფინანსების წყაროები

9.1. დაფინანსდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა სწავლის საფასურის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 40% - ისა თითოეულ ფაკულტეტზე.

9.2. დაფინანსებული თანხის არანაკლებ 30% თითოეულ ფაკულტეტზე უნდა გადანაწილდეს იმ პირებზე, რომელთაც სპეციალობის გამოცდაში დააგროვეს არანაკლებ 81 ქულისა, ხოლო უცხო ენის გამოცდაში კი არანაკლებ 61 ქულისა.

9.3. ფაკულტეტი უფლებამოსილია განიხილოს დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა მიზნობრივი დაფინანსების საკითხი, მაგრამ არაუმეტეს ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის მთლიანი მოცულობის 10%-

სა. დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარედგინება რექტორს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე